

შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ნაწილი	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	8
4. ფულადი სახსრები.	13
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.	13
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.	13
7. ძირითადი საშუალებები.	14
8. სავაჭრო ვალდებულებები.	14
9. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.	15
10. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება.	15
11. ადმინისტრაციული ხარჯები.	15
12. ფინანსური შემოსავალი.	15
13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.	16

შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(1 ლარი)

	შენიშვნა	31.12.2023	01.01.2023
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	4	206 812	61 834
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	286 795	340 570
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	454 273	410 167
სულ მიმდინარე აქტივები		947 880	812 571
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში		210 789	210 789
ძირითადი საშუალებები	7	5 710 070	3 074 201
არამატერიალური აქტივები		40 559	40 842
სულ გრძელვადიანი აქტივები		5 961 418	3 325 831
სულ აქტივები		6 909 298	4 138 402
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი		-	-
სავაჭრო ვალდებულებები	8	301 586	156 980
გადასახდელი პროცენტი		-	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		42 511	30 709
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		1 688	226
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		345 785	187 915
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი		2 439 680	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2 439 680	-
სულ ვალდებულებები		2 785 465	187 915
საკუთარი კაპიტალი			
რეზერვი		988 913	988 913
სააქციო კაპიტალი		2 000	2 000
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		3 132 920	2 959 574
სულ საკუთარი კაპიტალი		4 123 833	3 950 487
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6 909 298	4 138 402

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 20 სექტემბერ შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- მაია გოთუა

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	9	4 519 831	3 410 821
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	10	(2 300 841)	(1 824 568)
საერთო მოგება		2 218 991	1 586 253
სხვა შემოსავალი		-	11 629
კომერციული დანახარჯები		-	(28)
ადმინისტრაციული ხარჯები	11	(1 950 143)	(1 644 366)
დადებითი საკუროს სხვაობა		2 454	63 333
ფინანსური შემოსავალი	12	46 517	7 456
უარყოფითი საკუროს სხვაობა		(40 489)	(82 095)
ფინანსური დანახარჯები		(103 984)	(1 156)
მოგება დაბეგრამდე		173 345	(58 974)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მიმდინარე წლის მოგება		173 345	(58 974)
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		-	-
დივიდენდები		-	-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		173 345	(58 974)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 20 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- მაია გოთუა

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი
 ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
 (ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2023	2 000	2 959 574	988 913	3 950 487
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	173 345	-	173 345
დივიდენდის განაწილება				-
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	2 000	3 132 919	988 913	4 123 832

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 20 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- მაია გოთუა

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი
 ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
 (ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	4508238	3448136
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-1357996	-1484404
გაცემული შრომის ანაზღაურება	-2209142	-1529218
გადახდილი გადასახადი	-225398	-318653
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები (საბანკო ხარჯები)	-131009	-54623
გადახდილი პროცენტები	-92285	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	492407	61238
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-2802551	-746747
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-2802551	-746747
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების დაფარვა/აღება	2439680	
დივიდენდის გაცემა		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	2439680	
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	15443	-77105
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	144979	-762613
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	61834	824447
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	206812	61834

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 20 სექტემბერ შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- მაია გოთუა

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 1999 წლის 06 მაისს ვაკის სასამართლოს მიერ სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 204929140, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, დიდუბის რ-ნი ლუბლიანას ქ. 2/6, კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია:

მაია გოთუა (პ/ნ 01017005676) -100%.

კომპანიის დირექტორია:

მაია გოთუა (პ/ნ 01017005676)

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ზოგადი სამედიცინო მომსახურების გაწევა.

კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. კომპანია იყენებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მიერ დაწესებულ შეღავათს და არ წარადგენს შესადარის ინფორმაციას და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის (იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში) და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3.გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა შედგება:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული

დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების

საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც

დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა - 5-10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით ამორტიზდება 10% განაკვეთით.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2022-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე.

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი საგალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

1 USD=2.7020 ლარი;

1 EUR=2.8844 ლარი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი;

1 EUR=2.9753 ლარი.

4. ფულადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2023	2022
ნაღდი ფული ლარებში	6 431	8 690
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	152 016	26 449
უცხოური ვალუტა ადგილობრივ ბანკებში	48 365	26 695
სულ	206 812	61 834

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2023	2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	186 750	147 572
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2 545	
წინასწარ გადახდილი თანხები	97 500	192 999
სულ	286 795	340 570

2023 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

მარაგები წარმოდგენილია გასაყიდად განკუთვნილი საქონლით:

	2023	2022
ნედლეული მასალები	454 273	410 167
სულ	454 273	410 167

შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
 (ლარში)

7. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები შედგება:

	მიწის ნაკვეთი	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა ნაგებობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	982 018	762 428	1 298 448	81 419	325 169	47 960	26 240	3 523 683
შემოსვლა		2 478 864		287 986	26 426		9 275	2 802 551
გასვლა								-
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	982 018	3 241 292	1 298 448	369 406	351 595	47 960	35 515	6 326 234
დაგროვილი ცვეთა								
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	-	-	(202 536)	(14 879)	(195 158)	(16 735)	(20 173)	(449 482)
ცვეთის ხარჯი			(64 922)	(23 597)	(67 499)	(4 796)	(5 866)	(166 681)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა								-
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	-	(267 459)	(38 476)	(262 658)	(21 531)	(26 039)	(616 163)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
ბალანსი 2023 წლის 1 იანვარი	982 018	762 428	1 095 912	66 540	130 011	31 225	6 067	3 074 201
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	982 018	3 241 292	1 030 989	330 930	88 937	26 429	9 476	5 710 071

8. სავაჭრო ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები შედგება:

	2023	2022
კრედიტორული დავალიანება მომსახურებიდან	298 442	153 836
მიღებული ავანსები	3 144	3 144
სულ	301 586	156 980

შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
 (ლარში)

9. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.

2023 წლის ამონაგები შედგება:

	2023	2022
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	4 513 975	3 379 863
შემოსავალი არასამედიცინო მომსახურებიდან	5 857	30 957
სულ	4 519 832	3 410 820

10. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება.

2023 წლის თვითღირებულება შედგება:

	2023	2022
პირდაპირი ხელფასი	1 300 641	872 380
დამხმარე მასალების ხარჯი	956 508	922 505
სხვა საოპერაციო ხარჯი	43 691	29 683
სულ	2 300 841	1 824 568

11. ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანიის 2023 წლის ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	2023	2022
შრომის ანაზღაურება	1 343 910	1 073 157
კომუნიკაციის ხარჯი	27 083	14 640
კომუნალური ხარჯი	38 568	29 914
ცვეთა და ამორტიზაცია	166 964	132 782
სხვა ხარჯები	373 618	393 873
სულ	1 950 143	1 644 366

12. ფინანსური შემოსავალი.

კომპანიის 2023 წლის ფინანსური შემოსავლები შედგება:

	2023	2022
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	45 491	874
საპროცენტო შემოსავალი	1 026	6 583
სულ	46 517	7 456

შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 20 სექტემბერს.